განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამოსის დიზაინი, მაგისტრატურა

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი 24-25 მაისი

დასკვნის წარდგენის თარიღი 31 მაისი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245628496
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამოსის დიზაინი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამოსის დიზაინის მაგისტრი **080306**
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული, 10.06.2014, გააწყვეტილების N 118

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ღაღანიძე, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ვეფხვაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე ჩხუტიშვილი, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანჟელა აბულაძე,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა „დიზაინი“ აკრედიტებულია 2014 წლის 10ივნისის №118 გადაწყვეტილებით. საგანამანათლებლო პროგრამაში საერთო სახელწოდებით „დიზაინი“ გაერთიანებული იყო 2 კონცენტრაცია: ტექსტილის დიზაინი და მოდის დიზაინი.პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობის და დასაქმების პერსპექტივების, გათვალისწინებით 2018 წელს პროგრამას მოაკლდა ერთი კონცენტრაცია-ტექსტილის დიზაინი. და ამჟამად ის წარმოდგენილია შემდეგი სახით - „სამოსის დიზაინი“(ბხსუ-ს სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №4005.12.2018; ბხსუ-ს აკად. საბჭოს დადგენილება № 04-01/35 12.12.2018).

საანგარიშო პერიოდში პროგრამამ განიცადა ცვლილებები 2014 წელს ჩატარებული აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციების შესაბამისად და, ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის და პროგრამის განვითარების საჭიროებების გათვალისწინებით, კერძოდ: შეიცვალა შეფასების სისტემა, შუალედურ და საგამოცდო შეფასებებში დაწესდა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რის შედეგად სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა გახდა უფრო მოქნილი და ორიენტირებული აკადემიური მოსწრების ამაღლებაზე. შეიცვალა სასწავლო კურსებში კრედიტების და კრედიტებში საათების განაწილებაც. ადრე ყველა სასწავლო კურსში კრედიტები და კრედიტებში საათების განაწილება უნიფიცირებული იყო (5 კრედიტი,საკონტაქტო 30 სთ, დამოუკიდებელი 95 სთ). ახალ პროგრამაში არის 3, 4, 5, 6, 7 და 10 კრედიტიანი სასწავლო კურსები და მათში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათებიც განსაზღვრულია კურსების სპეციფიკის, მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით. კურიკულუმს დაემატა რამდენიმე ახალი სასწავლო კურსი, რასაც საფუძვლად დაედო დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გამოკითხვების შედეგები.კერძოდ, დაემატა სასწავლო კურსები: „კომპიუტერული ტექნოლოგიები“(2 სასწავლო კურსი), „ფიტოდიზაინი“,“ინოვაციური მასალები და თანამედროვე მოდის ტენდენციები“, „სამეწარმეო საქმის სამართლებრივი საფუძვლები“. შეიცვალა და თავიდან დამტკიცდა სასწავლო კურსებისათვის კოდების მინიჭების წესი.

„სამოსის დიზაინის“ სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავსქვეყნის,რეგიონისა და ზოგადად საზოგადოებისინტერესებისშესატყვისიმაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას დიზაინის სფეროში; პროგრამის მიზანია, აგრეთვე, სტუდენტს მისცეს ზოგადთეორიული და პრაქტიკული ცოდნა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებით, რის საფუძველზეც ის შეძლებს წარმატებულ შემოქმედებით საქმიანობას და ორიენტირებული იქნება დასაქმების ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებზე.

სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს და მისი ხანგრძლივობა შეადგენს 4 სემესტრს.სპეციალობის ძირითადი კურსები მოიცავს 100 კრედიტს, არჩევითი კურსები - 20 კრედიტს.პროგრამა სრულდება სამაგისტრო ნაშრომით (30 კრედიტი). სასწავლო კურსების მეშვეობით სტუდენტი იძენს თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს სამოსის დიზაინის სფეროს სპეციფიკასთან მიმართებაში. სასწავლო პროცესში გამოყენებულია სწავლა/სწავლების ისეთი ფორმატი როგორიცაა: ლექცია, სემინარი, სტუდიური მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა.

სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურადაა გაწერილი შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმები, შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულები. მრავალფეროვანია გამოყენებული შეფასების ფორმები: ტესტები, ზეპირი და წერითი გამოცდა, პრეზენტაცია და სხვ.სემესტრის დასაწყისში სტუდენტი ეცნობა სასწავლო კურსების სილაბუსებს.

ამჟამად პროგრამას აქტიური სტატუსის მქონე 8 სტუდენტი ჰყავს. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 100% შეადგენს.პროგრამა უზრუნველყოფილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნების მქონე ადამიანური რესურსით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი ემზადება ახალ შენობაში გადასასვლელად (დასრულებულია სარემონტო სამუშაოების ძირითადი ნაწილი, შეძენილია ინვენტარი), რომლის ფართი და გეგმარება გაცილებით უკეთ შეესაბამება საგანმანათლებლო დაწესებულების რეალურ საჭიროებებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

  სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 13 მაისის N 346 ბრძანების „აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ“ საფუძველზე განხორციელდა 2019 წლის 24-25 მაისს. ექსპერტთა ჯგუფის წინასწარი სამუშაო შეხვედრა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შედგა 21 მაისს. ჯგუფმა განიხილა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, იმსჯელა კურიკულუმისა და სასწავლო კურსების შესახებ. შეჯერდა მოსაზრებები უშუალოდ ვიზიტის მიმდინარეობისას დასასმელ კითხვებზე, რომელთა მეშვეობითაც უნდა შემოწმებულიყო პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.

  ვიზიტი უნივერსიტეტში წარიმართა მშვიდ აკადემიურ გარემოში; ჩატარდა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა, კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და პოტენციურ დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება (როგორც ამჟამინდელშენობაში განლაგებული აუდიტორიების, სახელოსნოების, ბიბლიოთეკის, ასევე, ახალი შენობის, რომელშიც პრაქტიკულად დასრულებულია სარემონტო სამუშაოები), გადამოწმდა ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, ელექტრონულიბაზების ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები, რაც ადექვატურად იქნა აღქმული უნივერსიტეტის და უშუალოდ, პროგრამის ადმინისტრაციის მიერ.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამოსის დიზაინის სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია. მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**
  - რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომში ანალიტიკური და კვლევითი კომპონენტის გაძლიერება; შემოქმედებითი და კონცეპტუალური ასპექტების სიღრმისეული კვლევა-ძიება: სასურველია უფრო ფართოდ და მოცულობითად აისახოს თემატური დიზაინ-კონცეფციების პროექტირებისა და მხატვრულ-ტექნიკური მოდელირების ეტაპობრივი განვითარების პროცესი.

- რეკომენდებულია სამაგისტრო პროექტში დიზაინერული იდეის განხორციელების მექანიზმების განსაზღვრა: ექსპერიმენტული მოცულობითი პროექტირება-მოდელირება დამხმარე მასალებით (მაგ.იაფფასიანი ქსოვილით ნარმა) ფორმის, მოცულობის, პროპორციის, სტრუქტურის, სტილის ძიებისა და ფორმირების მიზნით.

- რეკომენდებულია, ძირითადი ლიტერატურის წყაროების განახლება, გამრავალფეროვნება როგორც ქართულენოვანი, ასევე უცხოური სპეციალური ლიტერატურით.
- რეკომენდებულია ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მუშაობის გაძლიერება, პარტნიორების მოძიება, სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების ერთობლივ აქტივობებში ჩართულობა;
- რეკომენდებულია პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი მოცულობის 5-6 კრედიტამდე გაზრდა.
- რეკომენდებულია უნივერსიტეტში ანტიპლაგიატის პროგრამის დანერგვა.
- რეკომენდებულია კურიკულუმში წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანებასთან „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).
- რეკომენდებულია უსდ-ში საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესების მართვის ელექტრონული სისტემის შექმნა;

- რეკომენდებულია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიაში სახელოვნებო პროგრამისთვის განსაკუთრებული ყურადღების დათმობა, უცხოელი პარტნიორების მოძიება და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში სტუდენტების ჩართვა.

- რეკომენდებულია პროფესორ-მასწავლებლების უცხო ენის ცოდნის დონის ამაღლება საერთაშორისო გამოცდილების უფრო აქტიურად გაცნობის მიზნით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- სასურველია, შემუშავდეს, დაიგეგმოს და განხორციელდეს სხვადასხვა მოკლევადიანი საგანმანათლებლო ინტეგრირებული პროექტები - რაც ხელს შეუწყობს იდეების ფორმულირებას, მრავალფეროვანი ანალიტიკური, შემოქმედებითი, ტექნიკური და პრაქტიკული უნარების განვითარებას (მაგალითად, სასწავლო კურსების: ფოტოხელოვნება, სამოსის დიზაინი, ფიტოდიზაინი, გრაფიკული კომპიუტერული ტექნოლოგიები ინტეგრირება ერთი მთლიანი იდეის მქონე დიზაინ-პროექტის განხორციელებისათვის)
- სასურველია, ბაზრის კვლევის საფუძველზე კონკრეტული ბრენდის შესაბამისი სეგმენტის თავისებურებების გათვალისწინებით ერთობლივი პროექტების განხორციელება., რასაც შედეგად მოყვება დიზაინ-პროექტების შექმნა კომპანიის დაკვეთით, სტილის ფორმირება და მისი პრეზენტაცია; აღნიშნული ფორმატი მნიშვნელოვანია შემოქმედებითი, პრაქტიკული და პროფესიული გამოცდილების გასაღრმავებლად.
- მიზანშეწონილია, განისაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის პორტფოლიოს ორგანიზების სტრუქტურა, რათა მასში აისახოს ცოდნის, ხედვის, შემოქმედებითი უნარებისა და დიზაინ-კონცეფციების განვითარების ყველა ეტაპი იდეიდან და თემიდან დასრულებულ პროდუქტამდე.
- სასურველია სასწავლო კურსის „მეტყველების კულტურა“ შინაარსის გამდიდრება აკადემიური კომპონენტებით განათლების სამაგისტრო საფეხურის შესაბამისად.

- სასურველია, გაძლიერდეს მუშაობა საერთაშორისო კავშირების გასაღრმავებლად და სტუდენტებს მიეცეთ უცხოელ სპეციალისტებთან სწავლის/მუშაობის საშუალება (გაცვლითი პროგრამების ფორმით, უცხოელ სპეციალისტთა ვორქშოფების ან მასტერკლასების სახით).
- მოდის და, ზოგადად, დიზაინის სფერო აქტიურად განვითარებადი, მუდმივ ცვლილებებში მყოფი დარგია. ამდენად, სასურველია, პროგრამის სტუდენტებს მუდმივი წვდომა ჰქონდეთ ამ სფეროს უახლეს პროფესიულ ლიტერატურასა და პერიოდულ გამოცემებზე.
- ქართულენოვანი ლიტერატურის განახლების პროცესის გასააქტიურებლად და პედაგოგთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, სასურველია, უნივერსიტეტმა ფინანსურად უზრუნველყოს ქართულენოვანი სასწავლო რესურსის -სალექციო კურსების და რიდერების გამოცემა.
- სასურველია, პროგრამის განვითარების მიზნით, უნივერსიტეტმა გამოიყენოს გარე შეფასების მექანიზმი საქართველოს ან უცხოეთის უნივერსიტეტების შესაბამისი დარგების სპეციალისტების ჩართულობით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - „სამოსის დიზაინის“ პროგრამის ცნობადობის და პოპულარიზაციის მიზნით უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შექმნილი აქვს სამუშაო ჯგუფები, რომლებიც წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით დასავლეთ საქართველოს რეგიონებში აწყობენ გასვლით საინფორმაციო შეხვედრებს დაინტერესებულ პირებთან, აცნობენ მათ ინფორმაციას პროგრამის და მასზე დაშვების წინაპირობების შესახებ. აღნიშნული აქტივობა უდავოდ ხელს უწყობს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას, პროგრამის პოპულარიზაციას.
  - დიპლომანტის სურვილის შემთხვევაში უნივერსიტეტი წინასწარ დადგენილი თანხის ფარგლებში აფინანსებს სამაგისტრო ნაშრომის (კოლექციის) მასალის ხარჯებს. შექმნილი კოლექცია რჩება უნივერსიტეტის სადიპლომო ნამუშევრების ფონდში.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- სამაგისტრო პროგრამის 2014 წელს ჩატარებული აკრედიტაციის დროს გამოთქმული რეკომენდაციების უმრავლესობა უსდ-ს მიერ გათვალისწინებულია, კერძოდ:

1. პროგრამას დაემატა ინგლისური ენის 10 კრედიტიანი სასწავლო კურსი და გარდა ამისა, მომზადდა უცხო ენის არჩევითი კურსები ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებში.
2. თითოეული სასწავლო კურსისთვის ხელახლა იქნა მინიჭებული კრედიტები საგნის რეალური მოცულობის გათვალისწინებით.
3. გამრავალფეროვნდა სასწავლო კურსები. გადააზრებულ იქნა სავალდებულო და არჩევითი კურსების ნუსხა და სასწავლო კურსი „ მეტყველების კულტურა“ სავალდებულოდან არჩევით კურსებს დაემატა. სავალდებულო კურსებს დაემატა სასწავლო კურსები „ინოვაციური მასალები და თანამედროვე მოდის ტენდენციები“, „ფოტოხელოვნება“, „კომპიუტერული ტექნოლოგიები“ და „სამეწარმეო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები“, ასევე, არჩევითი სასწავლო კურსები: „ფიტოდიზაინი“, „მარკეტინგული კომუნიკაციები“.
4. 2014-2018 წლებში კურსდამთავრებულთა დასაქმების 100% მაჩვენებელი, რაც მათი კონკურენტუნარიანობის დასტურს წარმოადგენს.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი **„სამოსის დიზაინის“ სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს** ქვეყნის,რეგიონისა და ზოგადად საზოგადოების ინტერესების შესატყვისი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას დიზაინის სფეროში; პროგრამის მიზანია, აგრეთვე, სტუდენტს მისცეს ზოგადთეორიული და პრაქტიკული ცოდნა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებით, რის საფუძველზეც ის შეძლებს წარმატებულ შემოქმედებით საქმიანობას და ორიენტირებული იქნება დასაქმების ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებზე. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი მკაფიოდ ითვალისწინებს რეგიონის მასშტაბით სახელოვნებო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არსებობის მნიშვნელობას და მიზნად ისახავს დასავლეთ საქართველოს რეგიონების უზრუნველყოფას მაღალკვალიფიციური სპეციალისტების კადრებით. ამ მიზნის მისაღწევად პროგრამა ამზადებს საბაზისო თეორიული ცოდნით და შესაბამისი პრაქტიკული უნარებით აღჭურვილ სპეციალისტებს. ამდენად,პროგრამას თავისი წვლილი შეაქვს საზოგადოების კეთილდღეობაში, ემსახურება რეგიონში აღნიშნული დარგის განვითარებას. ამასთან, პროგრამის მიზნები შეესაბამება ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, რომლის ძირითადი პოსტულატია უმაღლესი სახელოვნებო აკადემიური, პროფესიული და უწყვეტი განათლების პროგრამების/კურსების განხორციელებით კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, თავისუფალი, ზნეობრივი და შეგნებული მოქალაქეობრივი სულისკვეთების მქონე სპეციალისტების მომზადება და საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილება; ასევე, კულტურისა და ხელოვნების მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო და შემოქმედებითი ცენტრის ადგილის დაკავება რეგიონში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მისია, მიზნებიდა სტრატეგიული განვითარების გეგმა; სამაგისტრო პროგრამა „სამოსის დიზაინი“;

პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; შრომის ბაზრის კვლევის ანალიზი; ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ინტერვიუ დამსაქმებლებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „სამოსის დიზაინის“ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, კერძოდ, პროგრამა სტუდენტს აძლევს ცოდნას როგორც სამოსის დიზაინის თეორიულ, ასევე, პრაქტიკულ და შემოქმედებით ასპექტებში.სასწავლო კურსებს შორის დაბალანსებულია შეფარდება თეორიული ცოდნის შეძენისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავების თვალსაზრისით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა პროფესიული ცნობიერების ფორმირებას და

ხელს უწყობს კვალიფიციური სპეციალისტების აღზრდას მაგისტრისათვის განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში.

პროგრამის შედეგებით განსაზღვრულია , რომ მაგისტრი თანაბრად ფლობს დიზაინის სფეროსთვის აუცილებელ როგორც თეორიულ ცოდნას, ასევე, პრაქტიკულ შემოქმედებით-საშემსრულებლო უნარებს. შემოქმედებითი პროექტების შესრულებისას გააჩნია მათი დამოუკიდებლად დაგეგმვის და თანმიმდევრულად განხორციელების უნარი. განვითარებული აქვს შემოქმედებითი პროექტის ეფექტურად დემონსტრირების უნარ-ჩვევა. პროექტისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება და მისი კრიტიკული ანალიზი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საუკეთესო ხერხია და მაგისტრი ფლობს ამოცანების და პრობლემების გადაჭრის ამ უნარს. პრაქტიკულ საშემსრულებლო უნარებთან ერთად, მაგისტრი ფლობს სამეცნიერო კვლევითი სამუშაოს ჩატარების უნარებსაც.

მაგისტრს გააჩნია დასკვნის გაკეთების უნარი, რაც უმეტესწილად ვლინდება კომპლექსური შემოქმედებითი და ტექნოლოგიური ამოცანების (ჩანაფიქრის ვიზუალიზაცია, მხატვრული ფორმის მოძიება, ფორმის შეფასება, ანსამბლურობის კომპლექსური შეფასება და გადაწყვეტილების მიღების უნარი) გადაჭრის უნარის არსებობაში.

მაგისტრს გააჩნია გუნდში მუშაობის უნარი, აცნობიერებს ცოდნის მუდმივი განახლების აუცილებლობას და ნაყოფიერად გეგმავს მხატვრული განათლების სტრატეგიას, იყენებს უწყვეტი თვითგანვითარების უნარს. დიზაინერული პროექტების თავისებურებების გათვალისწინებით ეფექტურად იყენებს თანამედროვე კომპიუტერულ პროგრამებს, იცავს დარგობრივი ეთიკის (მათ შორის, საავტორო უფლებების განხრით) სტანდარტს. შეუძლია კომუნიკაციის დამყარება როგორც დარგის წარმომადგენლებთან, ასევე, ფართე საზოგადოებასთან.

დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურსდამთავრებულები ფლობენ როგორც თეორიულ ცოდნას, ასევე გამომუშავებული აქვთ დამოუკიდებელი მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები; მაღალია მათი სპეციალობის მიხედვით დასაქმების მოტივაცია, განვითარებული აქვთ შემოქმედებითი და ტექნოლოგიური აზროვნების უნარი და სწრაფად და სიღრმისეულად ერკვევიან და ითვისებენ ნებისმიერი სირთულის შემოქმედებით თუ ტექნიკურ ინოვაციებს.განსაკუთრებით მაღალია მათი პროფესიული უნარ-ჩვევები სამოსის კონსტრუირების სფეროში, რაც საშუალებას აძლევს მათ იმუშაონ სამოსის ფართო ასორტიმენტზე.

უსდ-ს წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის რუკა, რომლითაც თვალნათლივ დასტურდება, რომ პროგრამის სწავლის შედეგები თანდათან, ლოგიკურად მიიღწევა როგორც სპეციალობის, ასევე სხვა მომიჯნავე სასწავლო კურსების მეშვეობით. ამდენად, პროგრამის სწავლის შედეგები რეალისტური და მიღწევადია.

უნივერსიტეტში დანერგილია და ფუნქციონირებს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომლის თანახმადაც ხორციელდება საჭირო მონაცემთა შეგროვება და ანალიზი. ანალიზის შედეგები აქტიურად, სისტემატურად გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებელი ცვლილებების სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები „სამოსის დიზაინის“ სამაგისტრო პროგრამა; სწავლის შედეგების რუქა; „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“; ინტერვიუები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან,პროგრამის ხელმძღვანელთან; ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ინტერვიუ დამსაქმებლებთან; ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების გაანალიზების შემდეგ კურიკულუმს დაემატა სასწავლო კურსები:“კომპიუტერული ტექნოლოგიები“, „ინოვაციური მასალები და თანამედროვე მოდის ტენდენციები“, „ფოტოხელოვნება“, „სამეწარმეო საქმის სამართლებრივი საფუძვლები“, ასევე, არჩევითი კურსი „ფიტოდიზაინი“. განხორციელებული ცვლილებები უზრუნველყოფს ცოდნის შეძენასა და იმ უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რომლებიც შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს ითვალისწინებს და ფართო პერსპექტივას გაუხსნის კურსდამთავრებულს დასაქმების თვალსაზრისით.
შეფასება ✓შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში

		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა	✓			

2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს „სამოსის დიზაინის“სამაგისტრო პროგრამაზე განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კერძოდ: სახვითი ხელოვნებისა და დიზაინის ბაკალავრის/მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირები და, ასევე, ბაკალავრები, რომლებსაც გავლილი აქვთ დიზაინის minor - პროგრამა სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხად აბარებენ მხოლოდ შიდა საუნივერსიტეტო შემოქმედებით ტურს სპეციალობაში - სამოსის კომპოზიცია (შეფასება 100 ქულიანი სისტემით). ყველა სხვა სპეციალობის კურსდამთავრებულები სპეციალობასთან ერთად გაივლიან დამატებით ტურებს (შეფასება 100 ქულიანი სისტემით): ფერწერა 0-90 ქულა, ხატვა 0-90 ქულა(საბოლოო შეფასება - ხატვა, ფერწერის ქულათა საშუალო არითმეტიკული) და სახვითი ხელოვნების ისტორია 0-10 ქულა. პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტი სწავლის დაწყებამდე გაივლის უცხო ენის დონის დასადგენ ტესტირებას. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა,შემოქმედებითი ტურის შეფასების კრიტერიუმები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები სამაგისტრო პროგრამა „ სამოსის დიზაინი“; პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან; სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.batu.edu.ge

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): „სამოსის დიზაინის“ პროგრამის ცნობადობის და პოპულარიზაციის მიზნით უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შექმნილი აქვს სამუშაო ჯგუფები, რომლებიც წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით აწყობენ გასვლით საინფორმაციო შეხვედრებს დაინტერესებულ პირებთან, აცნობენ მათ ინფორმაციას პროგრამის და მასზე დაშვების წინაპირობების შესახებ. აღნიშნული აქტივობა უდავოდ ხელს უწყობს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა შემუშავებულია სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის კურსდამთავრებულს სამოსის დიზაინის მაგისტრის კვალიფიკაცია ენიჭება 120 კრედიტის დაგროვების შედეგად.პროგრამის ხანგრძლივობაა 4 სემესტრი. კრედიტები ნაწილდება შემდეგნაირად:

1. სპეციალობის ძირითადი კურსები - 100 კრედიტი;
2. არჩევითი სასწავლო კურსები - 20კრედიტი;
სასწავლო პროცესი სრულდება სამაგისტრო ნაშრომის (30 კრედიტი) დაცვით.სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტები (100 კრედიტი) ორიენტირებულიასტუდენტს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა დიზაინის და, კერძოდ, სამოსის დიზაინის მიმართულებით.
დაცულია გონივრული თანაფარდობა თეორიულ და პრაქტიკულ სასწავლო კურსებს შორის. თანმიმდევრულია სპეციალობის სასწავლო კურსების განაწილება სემესტრებში.სამოსის კონსტრუირების პარალელურად სტუდენტები ეცნობიან ტექსტილისა და სამოსის კომპოზიციის პრინციპებს, მათ თავისებურებებს. თეორიული სასწავლო კურსები კი მათ ქართული და მსოფლიო ხელოვნების სხვადასხვა დარგის ისტორიას აცნობს.სავალდებულო კურსებში გათვალისწინებულია ფოტოხელოვნების, კომპიუტერული პროგრამების და, ასევე, სამეწარმეო სამართლის საფუძვლების შემსწავლელი დისციპლინები. მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა და სავალდებულო საგნებს დაემატა სასწავლო კურსი „ ინოვაციური მასალები და თანამედროვე მოდის ტენდენციები“, რომელიც განუვითარებს სტუდენტებს მოდის ახალი ტენდენციებისა და ტექნოლოგიური პროცესების შემოქმედებითად გააზრების უნარს.კურიკულუმში ინგლისური ენის 5 კრედიტიანი კურსიცაა გათვალისწინებული, ხოლო არჩევით კურსებში ასევე 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი, თუმცა უცხო ენის ცოდნის გაღრმავების მიზნით და სწავლის დაწყებისას ცოდნის სხვადასხვა დონის არსებობის გათვალისწინებით,ალბათ, სასურველია, კიდევ უფრო გაძლიერდეს ამ მიმართულებით სწავლება. სასურველია, გამდიდრდეს, ასევე, საწარმოო პრაქტიკის კომპონენტი (ამჟამად სულ 3 კრედიტს მოიცავს), რომელიც სტუდენტს შესაძლებლობას მისცემს პრაქტიკული უნარები სხვადასხვა მასშტაბის ორგანიზაციებში გამოიმუშაოს (მაგალითად, მცირე სამკერვალო სალონი და შედარებით მსხვილი ინდუსტრიული საწარმო, სადაც მუშაობის განსხვავებული პირობები, რიტმი და სპეციფიკაა), რაც არსებითად ერთმანეთისგან განსხვავებულ მიდგომებს, ცოდნას და დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევებს შესძენს მას.
შემუშავებულია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, თუმცა კურიკულუმსა და სილაბუსს შორის არსებობს განსხვავება, რომელიც ნაშრომის მოცულობას ეხება. კურიკულუმში მოცულობა 30 კრედიტითაა განსაზღვრული, მაშინ როდესაც სილაბუსში იგივე მოცულობა 25 კრედიტს შეადგენს და დეტალურადაა აღწერილი. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს მიმდინარეობისას ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა აღნიშნული საკითხი და გაარკვია, რომ სხვაობა ტექნიკური უზუსტობითაა გამოწვეული.
მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სამაგისტრო ნაშრომში გაძლიერდეს და გაღრმავდეს ანალიტიკური კომპონენტი, კერძოდ, ეტაპობრივად უნდა აისახოს თავდაპირველი ჩანაფიქრის და კონცეფციის განვითარების (როგორც პროექტირების, ისე განხორციელების) მთელი პროცესი. მიზანშეწონილია, ასევე, განსაზღვრული იყოს დიზაინერული იდეის განხორციელების მექანიზმები: ექსპერიმენტული მოცულობითი პროექტირება/მოდელირება დამხმარე მასალებით.
პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს სახელოვნებო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას და სწავლის შედეგებს. მისი სტრუქტურა ეფუძნება სასწავლო კურსების თანმიმდევრული და ლოგიკური მონაცვლეობის პრინციპს, რომლის მიხედვითაც სტუდენტი თანდათანობით იძენს შემოქმედებითი და ტექნიკური თუ ტექნოლოგიური აზროვნების/მუშაობის უფრო რთულ და ღრმა უნარ-ჩვევებს, რაშიც მას ეხმარება თეორიული დისციპლინების კორპუსიც. სასწავლო კურსებს შორის ლოგიკური ბმა ზოგ შემთხვევაში მათზე დაშვების წინაპირობებითაც არის უზრუნველყოფილი.სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებებიდან და, ხშირ შემთხვევაში, მისი სპეციფიური შემოქმედებითი ინტერესებიდან გამომდინარე პროგრამის აკადემიური პერსონალი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს მოდიფიცირებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მეშვეობით.პროგრამის შემადგენელ კომპონენტთა ერთობლიობა მაგისტრს უყალიბებს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს,აჩვევს შემოქმედებითი აზროვნებისა

და სიახლეების მუდმივი ძიების პროცესს, უვითარებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს. ამდენად, პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რის საფუძველზეც კურსდამთავრებულს ენიჭება სამოსის დიზაინის მაგისტრის ხარისხის, რაც სრულ შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრული დარგის/სპეციალობების და ქვედარგის/სპეციალიზაციის ჩამონათვალთან. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის ანოტაციის და სასწავლო გეგმის განთავსებას უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები სამაგისტრო პროგრამა „სამოსის დიზაინი“; პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; სასწავლო კურსების სილაბუსები; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ბხსუ-ს ვებგვერდი: www. batu. edu.ge.
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომში ანალიტიკური და კვლევითი კომპონენტის გაძლიერება; შემოქმედებითი და კონცეპტუალური ასპექტების სიღრმისეული კვლევა-ძიება: სასურველია უფრო ფართოდ და მოცულობითად აისახოს თემატური დიზაინ-კონცეფციების პროექტირებისა და მხატვრულ-ტექნიკური მოდელირების ეტაპობრივი განვითარების პროცესი. ▪ რეკომენდებულია სამაგისტრო პროექტში დიზაინერული იდეის განხორციელების მექანიზმების განსაზღვრა: ექსპერიმენტული მოცულობითი პროექტირება-მოდელირება დამხმარე მასალებით (მაგ.იაფფასიანი ქსოვილით ნარმა) ფორმის, მოცულობის, პროპორციის, სტრუქტურის, სტილის ძიებისა და ფორმირების მიზნით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, გამრავალფეროვნდეს საწარმოო პრაქტიკის კურსის შინაარსი,რომელსაც სტუდენტები გაივლიან როგორც მცირე ზომის სამკერვალო სალონებში/ატელიეებში, ასევე, საშუალო სიმძლავრის საწარმოებში, რაც პრაქტიკული მუშაობის განსხვავებულ უნარ-ჩვევებს გამოუმუშავებს მათ. სასურველია, გაძლიერდეს მუშაობა საერთაშორისო კავშირების გასაღრმავებლად და სტუდენტებს მიეცეთ უცხოელ სპეციალისტებთან სწავლის/მუშაობის საშუალება (გაცვლითი პროგრამების ფორმით, უცხოელ სპეციალისტთა ვორქშოფების ან მასტერკლასების სახით).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსების მონაცვლეობა და თანმიმდევრობა განაპირობებს დარგისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, ხელს უწყობს როგორც შემოქმედებითი აზროვნების ჩამოყალიბების პროცესს, ასევე, ჩანაფიქრის ტექნიკურად ხორცშესხმის უნარების განვითარებს. სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკებში მომიჯნავე დისციპლინებიცაა გათვალისწინებული, რაც აუცილებელ თეორიულ ცოდნას სძენს დიზაინერს შემოქმედებითი პრაქტიკის ინტერდისციპლინური ხასიათის გათვალისწინებით. სასწავლო კურსების განსაზღვრის და სწავლის შედეგების ჩამოყალიბების პროცესში ჩართული იყო როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე დამსაქმებლები, გათვალისწინებულ იქნა კურსდამთავრებულთა მოსაზრებები. ერთობლივად ჩატარებული სამუშაო აერთიანებს ყველა დაინტერესებული პირის შეხედულებას და ოპტიმალურად აჯერებს ერთმანეთთან პროცესში მონაწილე მხარეების აკადემიურ და პრაქტიკულ გამოცდილებას. ამდენად, სასწავლო კურსების სწავლის შედეგები პროგრამის სწავლის შედეგების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია და სრულ შესაბამისობაშია მათთან.

პროგრამის შემუშავების პროცესში დეტალურად იქნა განხილული თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლების მეთოდები, გაანალიზდა მიმდინარე პროგრამის მონიტორინგის შედეგები და ამ გზით შეირჩა სასწავლო კურსების სწავლის შედეგების უზრუნველყოფის მექანიზმები.სწორედ ამ მიზნით ხელახლა მოხდა სასწავლო კურსების კრედიტების გადააზრება და თითოეული საგნის მოცულობა განისაზღვრა რეალური საჭიროების და დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით. ამან ხელი შეუწყო სასწავლო პროცესის ოპტიმიზაციას და, რიგ შემთხვევაში, გააჩინა ახალი სასწავლო კურსების დამატების, მათი მეშვეობით ახალი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების გამომუშავების შესაძლებლობა.აღსანიშნავია ისეთი დისციპლინების დამატება როგორიცაა კომპიუტერული ტექნოლოგიები, სამეწარმეო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები, ფოტოხელოვნება და სხვ., რომლებიც საგრძნობლად აფართოებენ სტუდენტის თვალსაწიერს და სამაგისტრო საფეხურის შესაბამისი ღრმა ცოდნისა და კვლევითი უნარების გამომუშავების საწინდარად შეიძლება ჩაითვალოს.

აღსანიშნავია, რომ თითოეულ სემესტრში კრედიტები განაწილებულია თანაბრად - 30 კრედიტის მოცულობით, ხოლო 1 კრედიტი 25 საათის ტოლია. განსხვავებულია სასწავლო კურსებისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობა, გვხვდება 3, 4, 5, 7, 10 კრედიტიანი საგნები. ამგვარი განაწილება ითვალისწინებს თითოეული საგნის სპეციფიკას, ამავე მიდგომით ინდივიდუალურად განსაზღვრულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები.

სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები, სწავლების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები ასახულია სილაბუსებში. რიგი სასწავლო კურსები ითვალიწინებს როგორც სააუდიტორიო, ასევე გასვლით არასააუდიტორიო მეცადინეობებს (საწარმოო პრაქტიკა).რამდენიმე სასწავლო კურსი, თავისი სპეციფიკიდან და კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე ტარდება კურაციული სწავლებით. ესენია: ხატვა; ფერწერა; ორნამენტი სამოსის დიზაინში და საწარმოო პრაქტიკა. მოცემულ სასწავლო კურსებში არ ხდება სასწავლო თემატიკის და პრაქტიკული სამუშაოს სრულ სემესტრულ მოცულობაზე ანუ 15 კვირაზე განაწილება. ამგვარი მიდგომა მეტად მოქნილს ხდის პროგრამის სტრუქტურას და სასწავლო პროცესს.ამრიგად, თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა ძირითადად შესაბამისობაშია ამავე კურსის სწავლის შედეგებთან.მიზანშეწონილად მიგვაჩნია საწარმოო პრაქტიკის მოცულობის (კრედიტების რაოდენობის) გაზრდა.

სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა მეტწილად ეფუძნება დარგის/სფეროს აქტუალურ მიღწევებს. განახლებულია ქართულენოვანი ლიტერატურაც პროგრამის განხორციელებაში ჩართული პედაგოგების მიერ მომზადებული სალექციო კურსების რიდერების სახით. ამ პროცესის კიდევ უფრო გასააქტიურებლად და პედაგოგთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, სასურველია, უნივერსიტეტმა ფინანსურად უზრუნველყოს მსგავსი ქართულენოვანი სასწავლო რესურსის გამოცემა.თუმცა მოდის და, ზოგადად, დიზაინის სფერო აქტიურად განვითარებადი, მუდმივ ცვლილებებში მყოფი დარგია. ამდენად, სასურველია, პროგრამის სტუდენტებს მუდმივი წვდომა ჰქონდეთ ამ სფეროს უახლეს პროფესიულ ლიტერატურასა და პერიოდულ გამოცემებზე.

პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსები ორიენტირებულია დარგობრივი კომპეტენციების განვითარებაზე და პრაქტიკაში თეორიული ცოდნის გამოყენებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

სამაგისტრო პროგრამა „სამოსის დიზაინი“;
სასწავლო კურსების სილაბუსები;
პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მომწვეულ პერსონალთან;
ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია , ძირითადი ლიტერატურის წყაროების განახლება, გამრავალფეროვნება როგორც ქართულენოვანი, ასევე უცხოური სპეციალური ლიტერატურით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია სასწავლო კურსის „მეტყველების კულტურა“ შინაარსის გამდიდრება აკადემიური კომპონენტებით განათლების სამაგისტრო საფეხურის შესაბამისად.

მოდის და, ზოგადად, დიზაინის სფერო აქტიურად განვითარებადი, მუდმივ ცვლილებებში მყოფი დარგია. ამდენად, სასურველია, პროგრამის სტუდენტებს მუდმივი წვდომა ჰქონდეთ ამ სფეროს უახლეს პროფესიულ ლიტერატურასა და პერიოდულ გამოცემებზე.

ქართულენოვანი ლიტერატურის განახლების პროცესის გასააქტიურებლად და პედაგოგთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, სასურველია, უნივერსიტეტმა ფინანსურად უზრუნველყოს ქართულენოვანი სასწავლო რესურსის -სალექციო კურსების და რიდერების გამოცემა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) 2014 წელს ჩატარებული აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციის თანახმად, თითოეული სასწავლო კურსისთვის ხელახლა იქნა მინიჭებული კრედიტები საგნის რეალური მოცულობის გათვალისწინებით.
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკულ/სამეცნიერო კვლევით კომპონენტს, რომელიც პროგრამის ძირითად ბადეში ფორმულირებულია, როგორც **სამაგისტრო ნაშრომი.**ნაშრომის მომზადების და დაცვის პროცესი მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა რათა შემოწმდეს სწავლისას მიღებული უნარ-ჩვევები და მათი პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობები. სამოსის დიზაინის დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე და ამ სფეროში საქმიანობისთვის აუცილებელი შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით უმეტესწილ სასწავლო კურსებში პრიორიტეტულია პრაქტიკულ/შემოქმედებითი და, ასევე, კვლევითი დავალებების შესრულება, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს ცალკეული პრაქტიკულ/შემოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტისას შეიძინონ კონკრეტული უნარ-ჩვევები და გამოიყენონ ისინის კონკრეტულ სიტუაციაში. პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენისა და განვითარებისათვის გათვალისწინებულია პრაქტიკული-გასვლითი(არასააუდიტორიო) მეცადინეობებიც.სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გაძლიერება და განმტკიცება ხორციელდება პლენერზე მუშაობით და სასწავლო პრაქტიკის კომპონენტით. კურიკულუმში გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის კომპონენტს, როგორც უკვე აღინიშნა წინამდებარე დასკვნაში, კრედიტების მცირე მოცულობა გააჩნია და გულისხმობს პრაქტიკული უნარების გამომუშავებას ერთი ტიპის პარტნიორ ორგანიზაციებში. სასურველია პრაქტიკის კომპონენტის მოცულობის გაზრდა და მისი შინაარსის გამრავალფეროვნება (პრაქტიკის გავლა განსხვავებული ტიპის პარტნიორ ორგანიზაციებში). მთელი რიგი სასწავლო კურსები სტუდენტებს უვითარებს სამეცნიერო/კვლევითი მუშაობის უნარებს. სასწავლო პროცესში მათ უხდებათ, კონკრეტული დისციპლინის და დავალების

შესაბამისად, წყაროების და მასალის მოძიება, მოძიებული მასალის კრიტიკული ანალიზი და შეფასება, თემის ინტერპრეტაცია და არგუმენტირება. სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებას უწყობს ხელს სასწავლო კურსებში შერჩეული სწავლებისა და შეფასების შესაბამისი მეთოდები - რეფერატი,პრეზენტაცია, პროექტი და სხვ.

სამაგისტრო ნაშრომი პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი უნარების გამოვლენის და მათი შეფასების საშუალებას იძლევა. სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მინიმუმ 5 კოსტიუმი და, ამავე დროს, შეასრულოს თეზისი შესაბამის თემაზე. ამდენად, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით ფასდება სწავლის პერიოდში გამომუშავებული პრაქტიკული და კვლევითი უნარები.

სამეცნიერო/კვლევითი უნარების ჩამოყალიბების და განვითარების მიზნით მნიშვნელოვანია სტუდენტებთან მუშაობა ეთიკის კოდექსის საკითხებზე. პროგრამის აკადემიური პერსონალი ამ მხრივ კონსულტაციას უწევს სტუდენტებს, სასწავლო კურსების სილაბუსებში დაფიქსირებულია პლაგიატის დაუშვებლობა და სტუდენტებს ეძლევათ ინსტრუქცია გამოყენებული წყაროების მითითების, ციტირების წესის შესახებ, თუმცა პლაგიატის თავიდან აშორების მიზნით რეკომენდებულია უნივერსიტეტში ანტიპლაგიატის ელექტრონული სისტემის დანერგვა.

პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართვას შემოქმედებითი ხასიათის პროექტებში. სტუდენტები მონაწილეობენ ბათუმსა და დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მიმდინარე კონკურსებში, სამოსის ჩვენებებში, გამოფენებში. პროგრამის აკადემიური პერსონალი და კოორდინატორები სათანადო დახმარებას და კონსულტირებას უწევენ სტუდენტებს მათთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიებასა და შემოქმედებით თუ სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად.

სტუდენტური თვითმმართველობა აწყობს შეხვედრებს, დისკუსიებს, სპორტულ, კულტურულ, გასართობ და სხვ. ღონისძიებებს, რომლებიც ფინანსდება ბხსუ-ს ბიუჯეტიდან. პროგრამის სტუდენტებს საშუალება აქვთ შემოქმედებითი აქტივობის ინიციატივით მიმართონ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და მიიღონ მისგან დახმარება.

ამდენად, პროგრამა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შესაბამისი პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას, ხელს უწყობს სტუდენტების ჩართვას სხვადასხვა ტიპის აქტივობებში.ამავე მიზნით სტუდენტები თავისუფლად იყენებენ უნივერსიტეტის მატერიალურ ბაზას და ინფრასტრუქტურას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

სამაგისტრო პროგრამა „სამოსის დიზაინი“;
სასწავლო კურსების სილაბუსები;
პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
თანამშრომლობის მემორანდუმები პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციებთან;
შემოქმედებით აქტივობებში პროგრამის სტუდენტთა ჩართულობის ამსახველი მასალები;

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია ინტერაციონალიზაციის მიმართულებით მუშაობის გაძლიერება, პარტნიორების მოძიება, სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების ერთობლივ აქტივობებში ჩართულობა;

რეკომენდებულია პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი მოცულობის 5-6 კრედიტამდე გაზრდა.

რეკომენდებულია უნივერსიტეტში ანტიპლაგიატის პროგრამის დანერგვა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია სასწავლო კურსების სპეციფიკა და შერჩეულია სწავლა/სწავლების ის მეთოდები, რომლებიცუზრუნველყოფს, ერთი მხრივ, კურსის სწავლის შედეგებს,ხოლო, მეორე მხრივ, სრულად შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდები: ევრისტიკული, ახსნა–განმარტებითი, წერითი, ლაბორატორიული, დემონსტრირების, დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, ანალიზი, სინთეზი, ლაბორატორიული მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა სტუდენტთან, პორტფოლიოს წარმოება. აღნიშნული მეთოდები განაწილებულია სასწავლო კურსების თავისებურებების გათვალისწინებით, კერძოდ, თეორიულ დისციპლინებში გამოიყენება ახსნა-განმარტებითი, წერითი, ანალიზის მეთოდები,რომლებიც სტუდენტს უვითარებს გადაწყვეტილების მიღების, დასკვნის გაკეთების, საკუთარი პოზიციის არგუმენტირების უნარებს; პრაქტიკულ დისციპლინებში მითითებულია ლაბორატორიული მუშაობის, ინდივიდუალური მუშაობის, პორტფოლიოს შედგენის და წარმოების მეთოდები.ამ უკანასკნელთა მეშვეობით ხდება თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და პროფესიული უნარების განვითარებას უზრუნველყოფს პორტფოლიოს შექმნის მეთოდი, რომელიც აჩვევს სტუდენტს შემოქმედებითი იდეების, ჩანაფიქრის ხორცშესხმასა და შესრულებული სამუშაოს ეფექტურად წარმოჩენას. ეს, ამავე დროს, პროფესიული ფასეულობების გაზიარებისა და პრაქტიკაში რეალიზების უნარის ფორმირებას უწყობს ხელს.უნდა აღინიშნოს, რომ სტუდიური და ლაბორატორიული მუშაობის მეთოდები, რომლებშიც დიდია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობის წილი, აპრობირებულია ხელოვნების მიმართულების პროგრამის განხორციელების

პროცესში და მორგებულია დარგის რეალურ საჭიროებებზე. ამრიგად, კონკრეტულ სასწავლო კურსებში განსაზღვრული მეთოდები ამავე კურსის სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფენ, ხოლო მეთოდთა ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები სამაგისტრო პროგრამა „სამოსის დიზაინი“; სასწავლო კურსების სილაბუსები; თვითშეფასების ანგარიში; ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მომწვეულ პერსონალთან; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით,

გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების შეფასება მიმდინარეობს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, ობიექტურად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. შეფასების ფორმები და კრიტერიუმები წინასწარ არის ცნობილი სტუდენტისათვის. სილაბუსში გაწერილ შეფასების ფორმებსა და კომპონენტებს სტუდენტი ეცნობა სემესტრის დასაწყისში, სასწავლო კურსის პროფესორ/მასწავლებელი მათ აცნობს კურსის შინაარსს, თეორიული და პრაქტიკული დავალებების თემატიკას (რაოდენობა და შესრულების ფორმა), სწავლებისა და სწავლის მეთოდებს, შეფასების კომპონენტებს, შუალედური და დასკვნითი შეფასების კრიტერიუმებს და შეფასებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. სტუდენტთა შეფასება ხორციელდება ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად. სტუდენტის შეფასება ეფუძნება 100 ქულიან სისტემას. აქედან შუალედურ შეფასებას ეთმობა 60% (0-60 ქულა), ხოლო დასკვნით გამოცდას 40% (0-40 ქულა). სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულისა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოცდაზე არ დაიშვება. დასკვნითი გამოცდა - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“). სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება თუ ის მიიღებს ერთ–ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან: დადებითი შეფასება: (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტი“ჩაიჭრა“ შეფასებას ღებულობს აგრეთვე: ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე; ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე. FX-ის ან დასკვნით შეფასებაში „ჩაიჭრა“ -ს მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დანიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დიზაინის სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე (ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია და ა.შ.) დასკვნითი გამოფენა-გამოცდის შესაფასებლად შემუშავებულია შეფასების რუბრიკა. შეფასების რუბრიკის ფორმა საერთოა ყველა საშემსრულებლო სასწავლო კურსისათვის. განსხვავებას წარმოადგენს მხოლოდ შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. შეფასებას აკვირდება დეპარტამენტის ყველა პროფესორ-მასწავლებელი. უნივერსიტეტში მოქმედებს აპელაციის მექანიზმი და სტუდენტები ინფორმირებული არიან მის შესახებ.აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს სწავლების პროცესის სამართლიანობას და გამჭვირვალობას. სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურად გაწერილია სხვადასხვა ტიპის დისციპლინებში გამოყენებული შეფასების მეთოდები და კომპონენტები. მიღებული შედეგის გაუმჯობესების, ნაკლოვანების აღმოფხვრის მიზნით სტუდენტი იღებს უკუკავშირს, აქვს პედაგოგთან კონსულტაციის გავლის შესაძლებლობა და შეუძლია დაგეგმოს მიღებული შედეგის გაუმჯობესების გზები.

აღსანიშნავია, რომ კურიკულუმის თანახმად სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ორი-მიმდინარე და დასკვნითი შეფასების მეშვეობით, შესაბამისად 60 და 40 მაქსიმალური ქულით. აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანებას „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). ეს გარემოება (სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესი) საჭიროებს შესაბამისობაში მოყვანას აღნიშნულ ბრძანებასთან. უნივერისტეტში პერიოდულად ხორციელდება მონიტორინგი შეფასების პროცესის გამჭვირვალობისა და სტუდენტთა ინფორმირებულობის შემოწმების მიზნით. ამდენად, სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად და სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები სასწავლო კურსების სილაბუსებიდა შეფასების მეთოდები; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები; შეფასების სისტემის მონიტორინგის (გამოკითხვის) შედეგები;
რეკომენდაციები: რეკომენდებულია კურიკულუმში წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანებასთან „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასების ადეკვატურობა		☑		

3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტები ინფორმირებული არიან აკადემიური კალენდარის შესახებ. ინტერვიუს მიმდინარეობისას სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისგან უშუალო კომუნიკაციის გზით იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვის საკითხებთან დაკავშირებით.უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სამსახური, რომელიც აქტიურად აწვდის ინფორმაციას სტუდენტებს არსებული ვაკანსიების შესახებ. უნივერსიტეტი ზრუნავს იმაზე, რომ სტუდენტები ინფორმირებული იყვნენ საქალაქო თუ სხვა ღონისძიებების, კონკურსების პირობების თაობაზე. დეკანატი, კარიერული მხარდაჭერის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი სტუდენტებს აწვდიან ინფორმაციას სტაჟირების პროგრამების თაობაზეც. სტუდენტები ინფორმირებულები არიან და პროგრამის ფარგლებში აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ პროექტებში, შემოქმედებით აქტივობებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში, მაგრამ ვერ სარგებლობენ საერთაშორისო მობილობით, გაცვლითი პროგრამებით. უნივერსიტეტში დაბალია პროგრამის შესაბამის სფეროში ინტერნაციონალიზაციის დონე. აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია საკონტაქტო დატვირთვის პარალელურად საკონსულტაციო საათის ჩატარება და სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა.უსდ-ში არ არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელიც სტუდენტს საშუალებას მისცემს დროულად გაეცნოს შეფასების შედეგებს, კომუნიკაცია დაამყაროს სასწავლო კურსის პედაგოგთან ელექტრო შეტყობინების მეშვეობით, ნახოს აკადემიური ჯგუფების

ცხრილი, პედაგოგების ცხრილი, აუდიტორიების დატვირთვა. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ ინფორმაცია ინტერნეტ საიტიდან და სოციალური ქსელიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართულ პირთა (აკადემიური და არასააუდიტორიო დატვირთვა, მოწვეული პერსონალი, ფაკულტეტის ადმინისტრაცია, კარიერული სამსახური, ბიბლიოთეკა) ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერილობები;
ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
სტატისტიკური მონაცემები სხვადასხვა პროექტებისა და მათში ჩართული სტუდენტების შესახებ;

ბხსუ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები.

http://www.batu.edu.ge/

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია უსდ-ში საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესების მართვის ელექტრონული სისტემის შექმნა;

რეკომენდებულია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიაში სახელოვნებო პროგრამისთვის განსაკუთრებული ყურადღების დათმობა, უცხოელი პარტნიორების მოძიება და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში სტუდენტების ჩართვა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შესაძლებელია იყოს აკადემიური ან მოწვეული პერსონალი.სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს ნაშრომის ხელმძღვანელის დანიშვნის პროცედურას. მაგისტრანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რასაც ადასტურებს დიზაინის მიმართულების პროფესორების კვალიფიკაცია. სამაგისტრო თემის არჩევა მაგისტრანტისა და მისი ხელძღვანელის შეთანხმების საფუძველზე ხდება. თემის არჩევისას გათვალისწინებულია სტუდენტის შემოქმედებითი ინტერესები და ინდივიდუალური მონაცემები. არჩეულ თემას წარადგენს დეპარტამენტი და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. შემდგომ გამოიცემა ფაკულტეტის დეკანის სამართლებრივი აქტი. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში მაგისტრანტი სისტემატურ კონსულტაციას იღებს ხელმძღვანელისგან სილაბუსით გათვალისწინებული აქტივობების შესაბამისად. სადიპლომო ნაშრომის შექმნის პროცესში ხელმძღვანელის გარდა სტუდენტს დახმარებას უწევს პროგრამის სასპეციალობო კურსების განმახორციელებელი პერსონალი (მაგალითად, კონსტრუქტორი, ფიტოდიზაინერი და სხვ.).დიპლომანტი სარგებლობს უნივერსიტეტის მატერიალური ბაზით, მანქანა-დანადგარებით,ბიბლიოთეკით და სხვა რესურსებით.

აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო ნაშრომის ანუ სადიპლომო კოლექციის მასალის ხარჯებს დადგენილი კვოტის ფარგლებში ანაზღაურებს უნივერსიტეტი, ხოლო კოლექცია დაცვის შემდეგ უნივერსიტეტის ფონდში რჩება. არსებობს ალტერნატიული ვარიანტი, როდესაც სადიპლომო კოლექციას აფინანსებს თავად სტუდენტი და შექმნილი კოლექცია მის მფლობელობაში რჩება. ამდენად, საჭიროების და სურვილის შემთხვევაში, უნივერსიტეტი ფინანსურად უზრუნველყოფს სადიპლომო ნაშრომის შესრულებას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს სადიპლომო ნაშრომების ფონდის გამდიდრებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

პროგრამის ხელმძღვანელის და აკადემიური პერსონალის CV;
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
სადიპლომო ნაშრომების ფონდი;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

○

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	☑			

4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე

პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში „სამოსის დიზაინის“ სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება 5აკადემიური (2 პროფესორი და 3 ასოცირებული პროფესორი) და 4 მოწვეული პერსონალის მიერ. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში აკადემიური და მოწვეული პერსონალიდან შეიცვალა 2. უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე პერსონალის არჩევა ხდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესის“ შესაბამისად. კონკურსს ატარებს რექტორის მიერ დამტკიცებული კომისია. უნივერსიტეტის შინაგანაწესი სპეციალისტების მოწვევას არეგულირებს. აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით და შრომითი ხელშეკრულებით. აკადემიური პერსონალი მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტის მართვაში ფაკულტეტის, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების სახით. მათ პასუხისმგებლობას განეკუთვნება, ასევე, მონაწილეობა სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებაში, შემოქმედებითი და სამეცნიერო მიმართულებების ხელმძღვანელობა და სხვ. „სამოსის დიზაინის“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში. მას გააჩნია მრავალწლიანი აკადემიური გამოცდილება, ამავე დროს, არის მოქმედი ხელოვანი, თეატრისა და კინოს კოსტიუმების მხატვარი. პროგრამის ხელმძღვანელის უშუალო ჩართულობით შემუშავდა მოდიფიცირებული სამაგისტრო პროგრამა, სხვა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობით ჩამოყალიბდა პროგრამის სწავლის შედეგები. მისი უშუალო ჩართულობით გამდიდრდა კურიკულუმის არჩევითი საგნების სია.ხელმძღვანელი ზრუნავს პროგრამის განვითარებაზე, სასწავლო რესურსების გამრავალფეროვნებაზე. პოტენციურ დამსაქმებლებთან ურთიერთობა და პრაქტიკისა და სტაჟირების კომპონენტების განხორციელება ასევე განეკუთვნება პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენციის სფეროს. პროგრამის ხელმძღვანელს უწყვეტი კონტაქტი აქვს კურსდამთავრებულებთან, მონაწილეობას იღებს მათი დასაქმების პროცესში (რეკომენდაციის გაცემა).აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობაა 9/8, აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან - 5/4.პროგრამას ემსახურება 9 ადმინისტრაციული და 104 დამხმარე პერსონალი.ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია.აღსანიშნავია, რომ სტუდენტები ხაზს უსვამენ თავისუფალი, უშუალო კომუნიკაციის შესაძლებლობას როგორც აკადემიურ, ასევე ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები სამაგისტრო პროგრამა „სამოსის დიზაინი“; პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ინტერვიუები პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ინტერვიუ სტუდენტებთან; აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;

პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურად განხორციელების მიზნით უნივერსიტეტმა მიიღო ენობრივი კომპეტენციების ამაღლებაში პროფესორ-მასწავლებელთათვის ხელშეწყობის გადაწყვეტილება, მომავალი წლიდან ამოქმედდება ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის შეფასების წესი.აქედან გამომდინარე, შექმნილია ლექციაზე დასწრებისა და შეფასების სპეციალური ფორმა. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინდივიდუალურ დატვირთვას აფასებს ფაკულტეტის დეკანი და ფაკულტეტის საბჭო.თავის მხრივ, ინდივიდუალური დატვირთვა მოიცავს რამდენიმე კომპონენტს: სასწავლო-პედაგოგიურ საქმიანობას, შემოქმედებით/სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, მონაწილეობას სტუდენტთა ხელშეწყობის/მხარდაჭერის პროექტებში, ჩართულობას ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებებში. სისტემატურად ტარდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი (მოწმდება ლექციების,

პრაქტიკული/ლაბორატორიული/სხვ. მეცადინეობების ხარისხი). ასევე, მონიტორინგის ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს პედაგოგიური ასპექტი (მოიაზრება ლექტორთა პედაგოგიური, პერსონალური, საკომუნიკაციო და სოციალური უნარები და პროფესიონალური კომპეტენტურობა) და პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფის საკითხი (მოიცავს პროგრამის ადამიანური რესურსის შემადგენლობის და კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და ანალიზს). თვითშეფასების პროცესში ხდება სტუდენტთა და პროგრამის განმახორციელებელთა აზრის შესწავლა და შედეგების ანალიზი.

ბხსუ-ში მონიტორინგის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს პროგრამების პერსონალის კვალი-ფიკაციის და პროფესიული უნარების განვითარების და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა. შეფასების შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის სრულყოფის და პროგრამის ადამიანური რესურსის განვითარებისათვის აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვისათვის.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით უნივერსიტეტი იწვევს საქართველოსა და უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს საჯარო ლექციებისა და მასტერკლასების ჩასა ტარებლად. ამ გზით ხდება თანამედროვე პედაგოგიური მიდგომების, გამოცდილების გაზიარება.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება შემოქმედებით პროექტებში, კონკურსებში და გამოფენებში, კონფერენციებში მათი მონაწილეობით.

უნივერსიტეტის მიერ ფასდება პერსონალის პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა, მათი ჩართულობა სასწავლო კურსების პროგრამების მოდიფიცირებაში, რიდერების მომზადებაში,სასწავლო მასალების განახლებაში. მნიშვნელოვანი კომპონენტია მაგისტრანტებთან ინდივიდუალური მუშაობა, შემოქმედებით პროექტებში მონაწილეობა. აკადემიური პერსონალის მხრიდან უზრუნველყოფილია საერთაშორისო შემოქმედებით პროექტებში, გამოფენებში , კონკურსებში მონაწილეობა.

უსდ-ს მიერ მოწოდებულ მასალებში წარმოდგენილია აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა 2013-2018 წლებში. აღსანიშნავია, რომ პერსონალის მცირე რაოდენობის გამო იოლად და არაფორმალურად ხდება კომუნიკაცია პროგრამის ხელმძღვანელსა, ფაკულტეტის ადმინისტრაციასა და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალს შორის.

უნივერსიტეტი ყოველწლიურად ახორციელებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა ტიპის ღონისძიებას: ვორქშოფებს, ტრენინგებს, სამეცნიერო კონფერენციებს, ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებს.უსდ-ს ადმინისტრაციას განსაზღვრული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლა/სწავლების მეთოდებში ტრენინგების გეგმა და ახორციელებს მას მიმდინარე პერიოდში. ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია აკადემიური და მოწვეული პერსონალის კომპლექსური ტრენინგები სწავლა/სწავლების მეთოდოლოგიასა და უცხო ენის სწავლის მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები და თანდართული დოკუმენტები;

ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია პროფესორ-მასწავლებლების უცხო ენის ცოდნის დონის ამაღლება საერთაშორისო გამოცდილების უფრო აქტიურად გაცნობის მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიულ მისამართზე არსებულ შენობაში (ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ N 37).ამჟამად სასწავლო პროცესი აღნიშნულ მისამართზე მიმდინარეობს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ უახლოეს მომავალში უნივერსიტეტი გადადის ახალ შენობაში, სადაც ფაქტობრივად დასრულებულია სარემონტო სამუშაოები (აუდიტორიები, სტუდენტებისთვის განკუთვნილი სივრცეები და სხვ.) და მიმდინარეობს შენობის ტექნიკური აღჭურვა; უსდ-ს შეძენილი აქვს სპეციალური ინვენტარის დიდი ნაწილი. ახალი შენობის დაპროექტების სამუშაო შესრულებულია უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის პედაგოგებისა და სტუდენტების მიერ და, შესაბამისად მაქსიმალურადაა გათვალისწინებული უსდ-სა და მისი ფაკულტეტების მოთხოვნები და რეალური საჭიროებები. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს წვდომა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელებთან, აღჭურვილია ელექტრონული რიდერებით და წიგნების ონლაინ ვერსიებით, თუმცა შეინიშნება პროფესიული პერიოდული გამოცემების ნაკლებობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფაქტობრივი მდგომარეობა; უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდი;

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედ აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ✓შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი ფინანსდება როგორც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის მიერ, ასევე, იღებს შემოსავლებს სტუდენტებისგან. პროგრამას დამოუკიდებელი ბიუჯეტი არ გააჩნია, თუმცა უსდ-ს ბიუჯეტის მიხედვით 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა სამაგისტრო პროგრამისათვის მიღწევადია და ხარჯები შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები უსდ-ს 2019 წლის ბიუჯეტი;
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ✓შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	✓			

5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემა, რომელიც დაფუძნებულია მუდმივი გაუმჯობესების ციკლზე - „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ (PDCA). ციკლის ყველა ეტაპზე პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, მათი თანამშრომლობით ხდება მიღებული შედეგების ანალიზი და მზადდება პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებები მისი გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით. კერძოდ, იგეგმება შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და ვადები, განისაზღვრება ვინ მონაწილეობს შეფასების პროცესში და განისაზღვრება შეფასების კრიტერიუმები. მეორე ეტაპზე ხორციელდება დაგეგმილი შეფასება წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებისა და გრაფიკის მიხედვით; მესამე ეტაპზე ფასდება თითოეული კომპონენტის /მექანიზმის მუშაობის ხარისხი, ანალიზი უკეთდება ხარვეზების/ნაკლოვანებების გამომწვევ მიზეზებს და მეოთხე ეტაპზე ერთობლივად შემუშავდება მათი აღმოფხვრის მექანიზმები.პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუების დროს დადასტურდა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის და შეფასების აღნიშნული მექანიზმის არსებობა.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების სისტემა მოიცავს რამდენიმე ასპექტს:, კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის შეფასებას; ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის შეფასებას; დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას.უნივერსიტეტში შემუშავებულია და გამოიყენება რამდენიმე სახის კითხვარი კმაყოფილების კვლევების ჩასატარებლად. ესენია:

1. სასწავლო კურსის შეფასების კითხვარი;
2. სტუდენტის კმაყოფილების კვლევა;
3. კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კითხვარი;
4. დამსაქმებელთა კმაყოფილების კითხვარი;
5. პოტენციურ დამსაქმებელთა კმაყოფილების კითხვარი;
6. აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კითხვარი.

კმაყოფილების კვლევის შეფასების სისტემა მოიცავს სასწავლო პროცესს სრულად და ხელს უწყობს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის განვითარებას.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კოორდინაციას უწევს *SWOT*-ანალიზის გაკეთებას, როგორც საუნივერსიტეტო, ასევე პროგრამულ დონეზე.ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით სამსახური შეიმუშავებს სამოქმედო გეგმასა და რეკომენდაციებს ნაკლოვანი მხარეების გაუმჯობესების, პროგრამების განვითარების მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს „ხარისხის უზრუნველყოფის დებულების“ შესაბამისად, სადაც დეტალურად არის გაწერილი მისი საქმიანობის ასპექტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2018, 2019 წლის სამოქმედო გეგმა;

„ხარისხის უზრუნველყოფის დებულება“;

შიდა ხარისხის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები;

პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები;

ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;

ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან;

ინტერვიუები პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა იყენებს აკრედიტაციის პროცესს გარე შეფასების მისაღებად. ამავე მიზნით გამოყენებულია დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, თუმცა, პროგრამის განვითარების მიზნით პროდუქტიული იქნებოდა უნივერსიტეტს გამოეყენებინა გარე შეფასების მექანიზმი სხვა უნივერსიტეტის შესაბამისი დარგების სპეციალისტების ჩართულობით. ○
მტკიცებულებები/ინდიკატორები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტები’ ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან; ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან; ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, პროგრამის განვითარების მიზნით, უნივერსიტეტმა გამოიყენოს გარე შეფასების მექანიზმი საქართველოს ან უცხოეთის უნივერსიტეტების შესაბამისი დარგების სპეციალისტების ჩართულობით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად აფასებს პროგრამას. ხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი (სასწავლო მასალების და საგამოცდო მასალების, ასევე გამოცდების მონიტორინგი და გამოცდის შედეგების ანალიზი).ამავე სამსახურის ორგანიზებით ტარდება აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვაც და შედეგების ანალიზის საფუძველზე მზადდება

რეკომენდაციები, რომლებიც შემდგომ პროგრამის გასაუმჯობესებლად გამოიყენება. ცვლილებები შეიძლება ეხებოდეს სასწავლო კურსების ჩანაცვლებას, კრედიტების რაოდენობის შეცვლას, არჩევითი სასწავლო კურსის დამატებას,სწავლების მეთოდების ან ლიტერატურის განახლებას და სხვ. ამგვარი მონიტორინგის და პროგრამის განვითარების სისტემის მოქმედების შედეგად პროგრამაში განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება: თავიდან განისაზღვრა საგნების მოცულობა კრედიტებით, სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს დაემატა რამდენიმე დისციპლინა, რომლითაც უკეთ იქნება უზრუნველყოფილი სწავლის შედეგების მიღწევა, დარგობრივი და ტრანსფერული კომპეტენციების გამომუშავება. 2018 წელს შემუშავდა და აკადემიურ საბჭოზე დამტკიცდა ლექციაზე დაკვირვების ფორმა. მონიტორინგი და შეფასება გარკვეული პერიოდულობით ხორციელდება მთელი წლის განმავლობაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები; ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)
არ დაირთავს

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
სამოსის დიზაინი, მაგისტრატურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 39

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლოპროგრამის მიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა	√			
2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	√			
4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	√			

5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები	√			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

ნინო ღაღანიძე 

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

თამარ ვეფხვაძე 

ეკატერინე ჩხუტიშვილი

ანჟელა აბულაძე